საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო
საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი

N 2-03/2442
25/02/2020

2442-2-03-2-202002251801

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის
შემსრულებელს ბატონ გივი გიუტაშვილს

ბატონო გივი,

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტმა განიხილა თქვენი 2020 წლის 5 თებერვლის №1751-2 წერილი, რომელიც შეეხება მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში, სოფელ ნავაზში, საერთაშორისო მნიშვნელობის მცხეთა - სტეფანწმინდა - ლარსის (რუსეთის ფედერაციის საზღვარი) საავტომობილო გზის კმ9-ის მიმდებარედ, საავტომობილო გზის ღერძიდან მარცხენა მხარეს 19 მეტრის დაშორებით არსებული 8970 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N72.03.10.838) **ნაწილი ფართის - 600 კვ.მ.** (წარმოდგენილი ორთოფოტოს მიხედვით) აუქციონის ფორმით პრივატიზების საკითხს.

აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი არ არის წინააღმდეგი მოხდეს მოცემული 8970 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N72.03.10.838) **ნაწილი ფართის - 600 კვ.მ.** (წარმოდგენილი ორთოფოტოს მიხედვით) განკარგვა.

ამასთანავე გაცნობებთ, რომ „საავტომობილო გზების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საავტომობილო გზებზე, გზისპირა ზონაში (გზის ღერძიდან 100 მეტრი ორივე მხარეს) გზების მფლობელთან (მოცემულ შემთხვევაში საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი) შეუთანხმებლად აკრძალულია ნებისმიერი სამშენებლო და სხვა სახის სამუშაოთა წარმოება.

გიორგი წერეთელი

დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე

0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12, ტელ: (+995 32) 2376 286, ფაქსი: (+995 32) 2376 216
ელ-ფოსტა: info@georoad.ge